11 თებერვალს გარეშემო საქმეთა მინისტრმა წარუდგინა ყველა დეპუტატთა პალატს, სადაც ამ საგანზედ გამართა დირს სატრობი პასი. ზოგმა დეპუტატმა სმდურაკი გამოუცხადა მთავრობას თუ უკან რადად დააბრუნე ჯარიო. ერთმა დეპუტატმა სთქვა სხვათა შორის შემდეგი: რე ყოველთვის იმ აზრის ვიყავ, რომ საბერძნეთმა უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს ბრძოლაში. ამიტომ ბერძნის ჯარის შესვლა თესსალიაში მიმჩნდა როგორც ბერძნულთა იქედის აღსრულება. მაგრამ ესლავი ექვში ვარ—იქნება მთავრობამ, როდესაც ჯარის გასვლის ბძანება გასცა, წინაღვე იცოდა, რომ იძულებული იქნებოდა უკან დაებრუნებინა ეს ჯარი. საიდუმლო კრებაში მთავრობამ გამოკვიცხადა, რომ მხლელთ თესსალიაში მდგომი ბერძნის ჯარი მისცემს იქედს ოსმალეთის ბერძნებს. ესლავი გვეუბნებიან, რომ ჯარი უკანვე დააბრუნეთა. სამინისტროის მოთავემ სხვათა შორის ამ სიტყვებით გამართლა მთავრობა: განკარგუ-

დუბა ჯარის გასვლის შესახებ დადგენილ იქმნა მასინ
 როდესაც ომი ჯერ არ იყო გათავისუფლებული და არაკინა
 არ დაგვიპრეზერვა, მაგრამ ჩვენ და ჩაუბედურებათა რა
 უამრავი ჩვენი ჯარი სახლვარს გადადიოდა იმავე დროს
 რამდენიმე დროებით შერიგებს აწერდა ხელსაფ. ომი
 გათავდა და დაგრძობით მხოლოდ ჩვენ და აჯანყებულნი
 ჩვენი მომხრენი. მასინ ევროპამ გითხრა: „აგრძე არ
 არის რასაც ესაა შეკრებით. თუ თქვენს განკარგუ-
 ლებაზედ ხელს არ აიღებთ, ნურც ჩვენის შემწეობისა
 და ნურც ჩვენის თანაგრძობის იქნა ნუ გქვებათა.
 თუ ჩვენს რჩევას ატყუებთ, ჩვენი გვიანდებათ თქვენთა
 მომეტა უფლების დაცვასა. თუ არა და მატონი და-
 რებით.“ ახა რა უნდა გვექნა, სთქვა კუმუნდუ-
 რსმა.

წარმოდგა შემდეგ დეპუტატი ლომბარდსი და ამ
 სიტყვებით გამოესახა მთავრობას: «საქმი იმასია,
 რომ ჩვენ ჩვენი თავი და უფლება დავიცვათ. ჩვენი ქმ-
 უნა დიდხანს ვერ გაუძლებს იმ მდგომარეობას, რომელ-
 შიაც ამ უამრად იყოფება. ამიტომ ჩვენ საერთოდ უნდა გა-
 მოვიწყნაროთ ჩვენი გულის-ტკივილი იმას, ვინც ბოროტად
 მოგვექცა ან შემდეგში გვიქადის ბოროტობას. ჩვენ უნ-
 და უთხრათ იმას, რომ უკვლავად უწინაჟეს იგინივე შე-
 იქნებან იმ უსამართლობის მსხვერპლად, რომელიც ამოქ-
 მედებს იმას ჩვენდამი. ჩვენ უკან დავაბრუნეთ ჩვენი ჯარი;
 ევროპის სახელმწიფოებმა იგინს ჩვენის უფლების დაც-
 ვა ვინაჟერენიაში. მთელმა ქვეყანამ იცის რაში მდგო-
 მარებენ ეს უფლებანი. იგინი მოწყურნი არიან ჩვენი
 წინაშართა ისინსლით, და ჩვენც მზადა ვართ ჩვენი სინ-
 ხლის ფასად დავიცვათ იგინი. აი მათ დასცვადაც უკან
 დავიწიეთ დროებით. ჩვენ გვინდოდა დავგვეტკიცებინა
 ევროპისათვის, რომ გვწამს მისი სიტყვა და ვინდობით
 მის დაპირებას. ჩვენ გვინდოდა დავგვეტკიცებინა ევრო-
 პისთვის, რომ საბერძნეთი ვეღარ აიტანს აწინდელს
 სიტყვას; იგი უნდა სტრავრობდეს როგორც ტომი
 ან არა და ევროპამ უნდა გააუქმოს ეს წინა დღით შობილი
 სახელმწიფო. თუ ევროპა არა იქნა ამას, ჩვენ თვითონ გა-
 ვაუქმებთ. იგი გაუქმდება იმ განზრების ძალით, რომელ-
 ნიც ამოქმედებენ გვარტომთა არსებობას. მე დარწმუნე-
 ბული ვარ, რომ ჩვენი მიყვ იმ იმედით უნდა ტასტუდ,
 რომ მალე უკვლავ ქველანთა მიყვად შეიქმნება და მის
 კვირგინის ქვეშ დაასრდება ჩვენი ტომის ერთობა. თუ

ესე არ მოხდება, იგი, როგორც ჩვენ არ მოინდომებს
 გახდეს მთელსქვეყნის მასხარად. ამას ვამბობ მე იმისა-
 თვის, რომ უჩვენა მთავრობას თუ რა გვარ გამოსა-
 ხლდას მოველით მისგან ევროპის წინაშე.“ „თუ ევრო-
 პას ვსურსო, სთქვა ვიდევ ლომბარდსმა, — წავკარტვას
 ჩვენი შემკვიდრობა და სხვას მისცეს, იქამდისინ მაინც
 ნუ მივიყვანთ საქმეს რომ ევროპამ შეიძღვრა თავის გა-
 სამართლებლად თქვას ისტორიის წინაშე მკვდარი
 გზავო და უკუგვადო; არა, ისტორიამ უნდა თქვას,
 რომ ევროპამ ცოცხალი ტომი ხასაო და სული ამოა-
 თოგო. ჩვენც ამის დამტკიცება გვსურს.“

— საბერძნეთი დიდ მზადებაშია თურქე ომისთვის.
 იგი ცდილობს, რომ რაც ძალა რომ ახადია ფეხზედ
 დააყენოს და საჭიროების დროს ამოქმედოს. ამის შესა-
 ხებ ერთი ათინელი გორკესპონდენტი იწერება: „თუ სა-
 ხელმწიფოთა შორის ახალი შეტაკება გაიმართება, საბერ-
 ძნეთი დაიჭრის თავისის ჯარით რამდენიმე საბერძნე
 მარებს და იმ სახელმწიფოს მიუდგება, რომელიც მის
 სატყულობას გამოესახებდა. ამ შემთხვევაში საბერძნე-
 თი თავის მოზავს დასხვედრებს ახი ათას ჯარის გაცს,
 ათი ათასს ხომალდის გაცს. ამას რომ რამდენიმე ბერ-
 ძნები დაუმატოთ საბერძნეთი უფრო მეტის ძალის გა-
 მოყვანას შეიძლება. ესაა მთავრობა ემზადება და გან-
 ზრახვა აქვს ომში ჩადგეს ან მარტოვად, ან სხვა სახელ-
 მწიფოსთან ერთად. რაც უნდა იყოს სამინისტროის მო-
 თავის შემდეგი სიტყვები შესანიშნავნი არიან: „როგორც
 მტერს საბერძნეთს არავინ არაფრად ატყუებს, მაგრამ რო-
 გორც მოზავს — უკვლავ ხელს მოჭკადებს.“

— რამდენიმე გაუგზავნია თურქე ევროპის სახელ-
 მწიფოთათვის თხრობა საბერძნეთს დაუშალეთ, რომ
 თესსალიის, კრიტის და ეპირის (საბერძნე მარებსი რს-
 ძალეთისა) აჯანყებას ხელი არ მოუძაროსო; თუ ვერას
 გააწიებთ, თესსალიაში და ეპირში ჯარს გაგზავნიო
 და თან ხომალდებსაც მიუყოფებო გობარტ-ფაშის წინა-
 მძღოლობით. კრიტში (კანდაში) ვიდევ გაუგზავნია
 რამდენიმე ჯარი.

— ერთი ინგლისელი გორკესპონდენტი იწერებს,
 საბერძნეთიდან სხვათა შორის შემდეგს: „რამდენიმე მუხ-
 ლი იმ პირებისა (შერიგებისა) ძალიან ახლო ესებან

ბერძნების სარგებლობას და ბერძნები დიდს შეწუხებით უყურებენ მათ. ბოლგარიის საზღვრის გადაჭრის საღარიბო და ათონის მთამდე, მსჭმადინების გაკდასახლება (როგორც ისმის) ბოლგარიიდან საბერძნეთში, რომელთა მცხოვრებთ ქსურთ საბერძნეთთან შეერთება—ეველა ეს ბერძნის ტომის გაქარწყლებას ნიშნავს.“

საზრანგეთი. საფრანგეთში დაარსდა ცალკე კომისია, რომელსაც აქვს განზრახვა გამოიკვლიოს და დაიტვიჭოს ალჟირის დეპარტამენტების სარგებლობა. ამ კომისიის თავმჯდომარედ არის გამოცხადებული, რომელიც პირველ კრებაში შემდეგი სიტყვა წამოასთქვა: «საჭირო არ არის წინადადეგ იმ რიგისა და წესის მტკიცე დადგენა, რომელთაც ვაპიდლოლებთ წინ ალჟირის შესახებ საქმეთა განხილვაში და განჩივებაშია. ჩემდა შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მე განზრახვა მაქვს მტკიცედ გეცადო მიუტყვას ალჟირს მმართველობითი ცვლილება. მე მგონია ბევრსა სწორედ, სჯიან, ბასსობენ ალჟირის თაობაზედ, მაგრამ საქმე კი არა რიგდება. მოვიდა დრო დამტკიცებისა, რომ ტყუილად კი არ მიეცას ალჟირს საპოლიტიკო კონსტიტუცია, საყოველთაო არჩევანის აღმოჩენილი ტყუილად კი არ ვპოვებენ თვის ამხანაგთა შორის სურვილს ალჟირის დეპარტამენტების განკარგებისათვის. მართალი ბმანებაა, რომ საკმაოდ არ გინდობთ ალჟირს. თქვენ მიერ დადგენილმა კომისიამ კეთილი ნაყოფი უნდა მოუტანოს მომავალს. ჩვენ შემოვადივართ ამ კომისიისაში სურვილით, რომ ბოლო მოეღოს იმ უცნაურ მხედველობას, რომლის ძალით ალჟირს უყურებენ როგორც განსაკუთრებულ ქვეყანას, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სხვა ქვეყნებისათვის უარყოფილს სახსარს მმართველობისათვის. ალჟირიც ისე უნდა იყოს მოწყობილი როგორც მთელი საფრანგეთი. თუცა ალჟირი ისე მჭიდროდ არ არის დასახლებული როგორც სასურველია, მაგრამ მასზედ იცავე უნდა ვთქვათ, რაც თქმულა სხვა დეპარტამენტებზედ: იქ სცხოვრობს ხალხი განათლებული და აღსავსე ერთისა და იმავე მიდრეკილებით, და უსვინდისა იქმება ის მთავრობა, რომელიც მოინდომებს ალჟირის ხალხის დამონებას“.

რუმინია. გაზეთის «СЪВЕРНЫЙ ВѢСТНИКЪ»-ის კორესპონდენტი შემდეგს იწერებს ბუნარესტიდან: „ერთი ნაკლებუკვანება კი აქვს რუსს: ვერ იტას მტკიცე ზავისა და თანგებობის მოპოვება. რუმინიელი, უწინდელი მეგობრები, ეხლა მტრები არიან თუ არა საშინელი, თავის მოსახერხებელი მანინი. აი კიდევ სერბიელი, გუშინდელი ჩვენი თაყვანის მტემელი: გავიდა ერთი წელიწადი და სრულიად გაუგრილდათ გული ჩვენდამი. რუმინიელი ამბობენ: ჩვენ უფრო ადრე გვინდოდა რსმალებთან ბრძოლა, იმავე დროს როდესაც რუსის ჯარმა დაიწყო თავისი მოქმედება; მაგრამ გვიათობიერებდნენ, ვკუთხებოდნენ საჭირო არ არის და თუ რამ გამოუცხადებთ რსმალებს, თქვენვე უნდა იკისროთ უკველი მისი შედეგოდა ვასუხავთ თქვენ უნდა გასცეთ. როდესაც რუსის ჯარი ჰქვანას მეროდ იქმნა დამარცხებულ, მასინ კი დაგვასურეს ჩვენს გადაირეთ დუნაიო. ჰქვანას წინ დიდის მოწიწებით მოგვებდნენ ჩვენ. როდესაც საჭირონი აღარ ვიყავით, ჩვენ შევამხინეთ აშკარა გულგრილობა. გვთხოვენ მსხვერპლს, რომელიც შეუძლებელია სავარტომო თავმოყვარობისათვის, გვთხოვენ ჩვენის სამშობლოს განწილებას“. ამ გვარი საყვედური ისმის ეხლა ბუნარესტის უმაღლეს წოდებათა შორის და მწერლობაში. მართალი საყვედურია თუ არა რს მოგახსენოთ; მაგრამ ის კი უჭკველია, რომ ამისთანავე სამდურავი ისმის ამ უმაღ სერბიაში და საბერძნეთში. მას სხ.ნს ამ საყვედურს ერთი საერთო მიზეზიც უნდა მოსდგოდეს. კარგია თუ არა ეს რუსეთის სარგებლობისათვის?

„სერბიელიც იმას ამბობენ რასაც რუმინიელი: ჩვენ გვიათობიერებდნენ; ჩვენ ვთხოვლობდით მხოლოდ მტრზე შემწობას, და ერთი კორპუსი რომ მოეშველებინათ ჩვენთვის რუსებს, ჩვენ ზაფხულშივე შევიდოდით ბოლგარიაში და რსმან-ოჟმის მხედრობას ზურგიდან დავეტეოდით. მაგრამ უკანასკნელადვე ვკავრავლებდნენ ავსტრიის შიშით. ბოლოს დაინახეთ, რომ საქმე ღამის უჩვენოდ გათავდეს და ხელდასრული დაგრხეთ,

როდესაც მთელის ატიოსველეთის ბედი წუღებოდა, და ამიტომ ანკის არ დაუგდეთ ყური და ჩვენ-თავად წავიდეთ წინ. მაგრამ ცოტა დროა დაგვჩნა ყოველის მისკრპლის მაგიერად, რომელიც დავდეთ ჩვენ ესა და 1876 წ. გვეძლევა რაღაც „სახელების გასწორება.“ რუმინისა და კი მეტი ერგო.“

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო

(ისტორიული ზეონოგრაფიული გამოკვლევა)

(შემდეგ *).

ამ გვარი საბუთები სხვადა გვაქვს, მაგრამ ზემოდ-ჩვენებულად საკმარისია. შესახებ ქართლის ცხოვრების დასაწყისის ჩვენი აზრი შემდეგია. ის შედგენილია ქრისტიანის სულით. გადავკეთთ თვალი იმის 21, 24, 39 — 40 სტრიქონებს, რომელნიც წარმოგვიდგენენ ქართლისა და თაგან დღის დავიწყებას, ისრაელებს ეგვიპტით გამოსვლას, მოგვების მისვლას იერუსალიმში, ქრისტეს-შობას, ცხოვრებას და ჯვარცმას და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ გვარად წერა წარმართის მიერ შეუძლებელი იყო. ძნელია ნამდვილად იმ დროს აღმოჩენა, როდესაც ქართლის ცხოვრების დასაწყისი უნდა იყოს შედგენილი. ჩვენის ფიქრით უეტყვია მხოლოდ, რომ ის შეუდგენიათ მამინ, როდესაც ბერძნულ გავლენას ემონაკებოდა სომხური ენა და ლიტერატურა. ეს გავლენა თვით ქართლის ცხოვრებაშიაც სჩანს. ამ შემთხვევაში, ბროსესს შენიშნით, არ შეიძლება განკვირებას არ მივცეთ ქართლის ცხოვრების მამათ-მთავართ სახელების ბერძნულმა ფორმებმა, მაგალ. თარგამ-ოს, ქართლ-ოს. მტხეთ-ოს, გარდაბ-ოს. აქ მიჩვენის ანუ მურვანის მაგიერ იხმარება მიჩვენ-ოს, მურვან-ოს. ქურთისტიანის მთის ქედი სახელ-წოდებულია ორეთად, რომელიც ბერძნულად ჭნიშნავს მთას. ალექსანდრე მაკედონელის გამხდრების მოთხრობაში მოხსენებულია ბერძნული სიტყვა პროტატოს, რომელთაც ქართლის ცხოვრება ბერძნულ მხედართ უწოდეს¹⁷⁾. ეს გავლენა, როგორც ქვემო სტრი-

ქონები დაგვარწმუნებს, მოქმედებდა საქართველოზე სომხეთით. სომხეთში გავრცელებული ყოფილა ძველადვე ორი ენა—სირიული ანუ უკად სირიაკული და ბერძნული. სომხური ისტორიული მოთხრობები უწიწრათ მე-IV საუკუნემდე სიცილეებს-მარ აბას კატინას, ლერუსას, ბარდუსანს, ბერძნებს—აგათანგს და სხვ. ¹⁸⁾ მე-V საუკ. წმ. მესრობს შეუდგენია, მოსე ქორენელის თქმით, სომხური ანბანი და თვით ქართული სურთხრები ¹⁹⁾ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუწყვიტთ სომხებს საკუთარს ენაზე წერა: მესრობის მოწაფენი შესდგომიან სამლო წერილის თარგმანს ბერძნულიდან ²⁰⁾. იმათ შორის გამოჩენილი სომხის მწერალია მოსე ქორენელი, რომელსაც დაუწყია ვრცელი „ისტორია სომხეთისა“, დათუქნებული უმთავრესად ბერძნების საეკლესიო მწერლებზე და მეტადვე კესარის ეპისკოპოსის კასევის თქმულებაზე. მოსე ქორენელი ცხოვრებდა იმ დროს, როდესაც საქრისტიანო მამატიანენი ყველა ხალხთ გავრცობას იყარებდნენ „დაბადების“ გარდამოცემასზე. ამ წყაროზე აუშენებიათ მოსე ქორენელს სომხეთ შთამომავლობა და ქართლის ცხოვრებას ქართველის ტომის მომდინარეობა ²¹⁾. ამ უკანასკნელს შემთხვევაში ცხადია სომხეთის მწიგნობრობის გავლენა ქართლის ცხოვრებაზე. აი ამისი უმთავრესი საბუთი. მარ აბას კატინა ამბობს: «ამენაგის მამა ჭაიკი შთამომავლობდა თორგომისაგან და იათეტი-გან²²⁾, მოსე ქორენელი: „იათეტი ჭაიკი გომერი, გომერმა თირასი, თირასმა თორგომი, თორგომმა ჭაიკი, ჭაიკმა არმენაგი²³⁾ ქართლის ცხოვრება: „თარგამოს მამა სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვავრელთა, ჭერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა იყო მე

¹⁸⁾ Victor Langlois, Etudes sur les sources de l' Histoire d' Arménie de Moise de Khorene—Mél. Asiat, t. IV, livr. 3, p. 295.

¹⁹⁾ Collect. des hist. arm. II, 162.

²⁰⁾ Mél. As., IV, livr. 3, p. 295.

²¹⁾ Renan, Hist des langues sémit, 27; V. Langlois, Collect., I, 16—Mél. Asiat, IV, livr. 3, 310—311.

²²⁾ Langlois, Collect., I, 16—17.

²³⁾ Ib., II, 58.

«ივერია» № 8, 1878 წ.
¹⁷⁾ Hist. de la Gr.—Intrad. et tables p. XXXIII

თარშისა, მისა ავანანისა, მისა ნოქსა²⁴⁾. უეჭველად, რომ სომეხნი თავიანთ შთამომავლობას უგავშირებენ ნოქს თირასით, ქართველნი თარშისით, რომელიც არის იგივე თირასი და რომელსაც „დაბადება“ არ მოიხსენებს. ამასთანავე სომეხების თარგომა და ქართველების თარგომასი არის ერთი და იგივე ფორმა, მაშინ როდესაც უველად დანაშთენთ ტომთ ფორმას თოდორმა. უეჭველად, რომ თირასი მოგონილია სომეხების მწერლებსაგან და მითვისებული ქართლის ცხოვრებისაგან; თვით ქართლის ცხოვრების პირველს შემადგენელს დაუგავშირებია ქართვლთ შთამომავლობა სომეხების შთამომავლობასთან. ამ აზრის დასამტკიცებლად ვიტყვი, რომ არც მარხას კატინა, არც მარხე ქართველი არ იხსენიებენ ქართვლ ტომს თარგომას შთამომავლობად; მაშასადამე თვით სომეხნი არა ჰხადიან იმათ თავიანთ მონათესავე ტომად. მათ ერთგვარ ტომობას ჰმეწოდებენ მათნი მწერალნი მხოლოდ მე-XIII საუკ., ესე იგი სიუნის ეპისკოპოსი სტეფანოს ორბელიანი და ვარდან დიდი, მაგრამ ესენიც ამ თქმულებას აფუძნებენ, იმათვე სიტყვით, ს. ქართველთ სწინაგებზე²⁵⁾. ერთი უმთავრესთა საბუთთაგანი თუ რომელი ტომი რომელ ტომთან არის ნათესავურად დაკავშირებული არის, როგორც კიდევ გვიჩვენებს ლინგვისტიკური გამოკვლევა ენებისა. ლინგვისტიკის მხრივ საფუძვლიანად არის შესწავლული მხოლოდ სომეხური ენა და დასკვნილია, რომ ის წამომადგარა იმავე არიულის ძირიდან, რომელსაც ეკუთვნიან ზენდური, სპარსული, ოსური, ქურთული და ავგანური²⁶⁾. აქვე უნდა ვუხსენოთ მკითხველს, რომ ქართული გვარის ენების გვარგაფიული მდებარება შეიცავდა ძველად მთელს ზემო ბასსეინს მტკვრისას დელე-მინდვრებით-ნრდილოეთად არაგვისას, სამხრეთით ხრამისას ანუ ქრცისას, დებედისას და ასტაფისას, აღმოსავლეთით—

აღმოსავლეთით—ქარხისას, ჩრდილო-დასავლეთით—ბასსეინს რიონისას და იმის შტოებს ვიდრე გავრამდე²⁷⁾. ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული ქართულის ენების გვარი, რომელსაც, ქართლას ცხოვრების აზრით, შეადგენდნენ: ახლანდელი ქართული, სვანური და ლაზური მეგრულითურთ. სვანები მეგრებდნენ იქვე, სადაც ცხოვრობენ ახლაც. ლაზურ ენას სჭირა მთელი შავი ზღვის პირი ეუბანიდამ მოყოლებით ვიდრე ტრაპიზონის თემამდე და თვით ტრაპიზონიც²⁸⁾ ესე იგი მთელი ის სივრცე, სადაც ჩვენ დრომდე ბინდობდნენ ანუ ბინადრობენ ჩრქეხნი და აფხაზნი, გურული და ლაზნი ანუ ჭანნი, რომელნიც მეგრელებად ირცხებიან ქართლის ცხოვრებაში²⁹⁾. ამას წინადა ამ ენების გვარ-ტომობას უგავშირებდნენ არიულს ანუ ინდოევროპულს ენებს—ზრახსე სომეხურს, ბოზში სანსკრიტულს ორივე ეს აზრი უარ ჰქვეს უგანასენელს დროს და უფრო მაქს მილლეჩის აზრს დაემყარებენ, ვითამც ქართული ენები შეადგენდნენ ტურანულს გვარის ჯგუფს³⁰⁾. ეს უგანასენელი აზრიც საუკუნოდ მიანიათ უფრო ლინგვისტებს ვიდრე, არსეოლოგებს. ტურანულს მომდინარეობას ქართველებისას არსეოლოგები იმაზე აფუძნებენ, რომ ტურანულნი ძველის ძველად არიანთ გამოსულნი საშუალო აზიიდან და გავრცელებულნი, ესე იგი იმ დროს, როდესაც იმათ ფიქრით ქართველი შთამომავლობა დამკვიდრებულა ძვირე აზიში³¹⁾, როდესაც არიულნი და იმათ შორის თვით სომეხნი ჯერ არ სჩანან.

თუ მკითხველისათვის საჭიროა ცხადი საბუთები სომეხების მწერალთ გავლენისა ქართლის ცხოვრებაზე, — სპარსეთის გაულებას შემდეგ გამოვიკვლიეთ, — აი რამდენიმე უმთავრესი საბუთი. შეუთანასწორეთ ქართლის

24) ქართლ.-ცხ., 15.
 25) Hist. de la Géor., I, 16 n 1.
 26) Ern. Renan, Rapport sur les travaux du Conseil de la Société Asiatique pendant l'année 1867—1868—Journal Asiatique, juillet août 1868, p. 56, 64. — Abel Hovelacque, La Lionquistique—Bibliothèque des sciences contemporaines, Paris, 1876, p. 218.

27) Hist. de la Géor., II partie, 2 livr.—Introduction et tables, p. III.
 28) Hist. de la G., I, 18, 56.
 29) Ibid., 56.
 30) А. Цагарели, О грамматической литературѣ грузинскаго языка, СПб. 1873 стр. 63—73.
 31) Maspero, Hist. ancien, 236, 238, 398.— Jules Soury, Revue des Deux Mondes, 15 oct. 1873, p. 909—910.

ცხოვრების გარდამოცემა ჭაივის დასასლებაზე მასისის ბირად და თვით ბრძოლა თარგამოსიანთა ნებროთთან მარ ახას გატინას თქმულებას იმავე საგანზე³²⁾ და თქვენ უმჯობესად დარწმუნებით, რომ ქართლის ცხოვრებას ეს ცნობები გამოუყრებია მარ ახას გატინას თხზულებიდან და ეს ცნობა იმას კიდევ შეუცვლია. თვით ფარნავაზ მეფისაგან შემოღებული პალიტიკური წესდება და დამყარება სასპატრასი და სერისთავოებისა მოგვარებებზე ვალახსავის მიერ დაფუძნებას სომხეთში სასატრახოებისას³³⁾. როგორც ქართლის ცხოვრება, აგრეთვე მასე ქართველი ძველადვე უჩვენებენ არმანის ტამარს—პირველი მცხეთის მახლობლად, სადაც იყო ქართლისის სასაფლაო, მეორე ანის ქალაქში, სადაც სომხეთის მეფენი არშვიდნი იმარსებდნენ.³⁴⁾ ქართლის ცხოვრების თქმით ქართველი ძველად უკუდასა სტამბდენ და საფლავი არა იყო. მასე ქართველი ძვედრის ტამარ სომხებისაგან არ იხსენიებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ ივინი უვიშაპუს (გეშაპუს) უმსხვერპლადნერა ქალწულ ქალებს და უმანკო ტახტებს³⁵⁾. ქართლის ცხოვრების ნაშბი წმ. რიფსიმეს ძეგანზე დიოკლიტანე იმპერატორის მიერ და ტირიდატ მეფის უკუდა შეცვლა გამოკრებულია ავანთანვის თხზულებიდან (მე-IV სსუკ.)³⁶⁾.

შეუძლებელია, რომ რამე ისტორიული მნიშვნელობა მაუთვისოთ ქართლის ცხოვრების თქმულებას ქართულთ შთამომავლობაზე და იმათ პირველს ისტორიაზე. ჩვენის ფიქრით, ქართლის ცხოვრების დასაწყისზე იგივე უნდა ითქვას, რაც მეცნიერს რენანს უთქვამს მასე ქართველზე. რენანი ამბობს: „ამ მწერლის მოთხრობა სხვა არა არის რა, როგორც უმართებულად არეული მოთხრობა ბიბლიისა და ელლინებისა აღმოსავლეთის ისტორიის ძველ დროებზე“³⁷⁾. ამ შემთხვევაში უფრო

აი რა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. როგორათა ცარდამოცემა ბიბლიისა და ქალდეა-ასსრიელთა, აგრეთვე ძველის ელლინებისა ჩვენ ტომზე ერთი მხარეს თითქმის ეთანხმებიან; თვით ახალი ანსელოგიური გამოკვლევა ცხოვრებას ამ თქმულებას. რასაკვირველია, ბუკრი დროს კიდევ საჭარო, ვიდრე უგანსაგნელი სიტუგა ითქმოდეს ამ საგანზე, მაგრამ ის ვი არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხსენებულთ უცხო-ტომთ იციან სახელწოდება კოლხებისა, ტრუალისა ანუ ტიბარენებისა და მოსხებისა. ამ სახელწოდებათა შორის მხოლოდ კოლხიდას იხსენიებენ იშვიათად სომხეთის ძველი მწერალნი. ქართლის ცხოვრებაში არც ერთს ამ სახელწოდებათაგან არა ვპოულობთ. ვინაა ამისა არც ქართლის ცხოვრებაში, არც სომხეთის მწერალთ არ იციან უძველესი საცხოვრებელი ჩვენის ტომისა, მაშინ როდესაც ამ საცხოვრებელს უჩვენებენ ქალდეა-ასსრიელნი და ელლინი.

ჩვენ აქ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ძველი გარდამოცემა ქართლის ცხოვრების სრულებით ზღაპრული იყოს. ჩვენი აზრი ის არის მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრების პირველი შემადგენელი დომანაკებულნი ჭყოლია სომხეთის მწერლობას; მაგრამ გავსე ამ შედამქმედებისა ქართლის ცხოვრებას არ არის მთლად უარსაყოფელი: ის წარმოგვიდგენს ზოგიერთს თქმულებას, რომელიც ნამდვილ შემთხვევას შეიცავს. ამ გვარნი შემთხვევანი არიან: დასახლება საქართველოში სხვა და სხვა უცხო-ტომთა, მაგალ. ურიათა, თურქთა და ელლინთა; აგრეთვე საზნო ბრძოლა და იმათგან დასახლება ოსებისა ჩრდილო-კავკასიად. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ურინი ძველის-ძველადვე უნდა იყვნენ ამ მხარეში დასახლებულნი, როგორც ამას ვმოწმობენ ისტორიული და ანსელოგიური საბუთები³⁸⁾ ზემოხსენებულთ თურქთ შთამომავლობად ჭსადიან ორბელინთ გვარს³⁹⁾. ელლინების კოლხიებზე ჩვენ მხარეში ამას წინად გვკონდა საუბარი, მაშასადამე ამ შემთხვევაში

32) ქართლ.-ცხ., 19.—Langlois, Collect., I, 18.
 33) ქართლ.-ცხ., 31.—Collect., I, 46, II, 26.
 34) ქართლ.-ცხ., 19, 20, 32 —Collect., II, 106.—
 Н. Эмина, Очеркъ религии языческихъ Армянъ, Москва, 1864, стр. 16
 35) ქართლ.-ცხ., 25.—Очеркъ религии 37.
 36) ქართლ.-ცხ., 69, 70, 75.—Collect., II, 139—
 142, 150.
 37) Hist des langues sémit., 42. n. 3.

38) მაგალ. ერთი ქვა ებრაულის წარწერით, რომელიც მცხეთის სამთავროს სასულაოში იპოვეს და რომელიც, როგორც გვარწმუნებენ, გეოგნის 589 წელს ქრისტეს წინად. ამ. Баградзе, О до—исторической археологии, стр. 37.—ქართლ.-ცხ., 25.

ეჭვს ადგილი აღარ აქვს. აქ მხოლოდ დაგურთავთ, რომ როგორც ქართლის ცხოვრება ჭმარობს, ბერძნები და ქართველები ურთიერთ-შორის უფრო დაკავშირებულნი შეგობრულად და პირველნი უკანასკნელთ ბრძოლაშიც უმადობდნენ⁴⁰). ესეც უნდა ვთქვათ, რომ ორიენტალისტი ყოფილ სენ-მარტენი დიდს ისტორიულ მნიშვნელობას მისთვისებს ჩვენ გარდამოცემას ბერძნებსზე. იმის სიტყვით, „ბერძნების მეისტორიოთ არ დაუტოვებიათ არავითარი ცნობა, რომ იმათ გოლონიებს შავის ზღვის პირად ჭქონიუთ ბრძოლა კავკასიელებთან. მხოლოდ ქართლის ცხოვრებისაგანა გვაქვს გარდამოცემული ეს ცნობა, რომელიც წარჩინებული და უეჭველი ჭეშმარიტება არის“⁴¹). ამგვარსავე მნიშვნელობას მისთვისებენ ევროპელები მეცნიერნი თვით იმ გარდამოცემას ქართლის ცხოვრებისას, რომელიც შეეკება საზარებს და ოსებს⁴²).

(უკიდვე ოქება)

ზვილი მოხუცაშულის ბაზისი

(უკიდვე *)

VI

მეთის სრასასხლეში ხმაურობა მიჭსწუდა და უკვლას მწუხარების თერი დაედა; ისინი, რომელნიც ამხიარულებდნენ აჭურობას, ესლა შორს იყენენ; მხოლოდ იშვიათად კი მეჩანგები მოვიდოდნენ ხალე და გალობით ადიდებდნენ სახელს და გაყვარობას, რომელნიც სერბიელთ შეიძინეს ასაღს ბრძოლაშია.

კრინს ისმენდა ამ სიმღერებს მეჩანგებისს, ხშირად მამის სახელსაც გაიგონებდა ხოლმე, ქებით სიმღე-

*) „ივერია“ № № 6, 7, და 8 1878 წ.

39) Hist. de la Siounie, I, 210—212.

40) ქართლ.-ცხ., 23 პერიგნ. 8.

41) Mém. sur l' Arm, II, 190 n.-e.

42) Dubois de Montp. Voyage, II, 25—26; IV, 354—362.—V. de Smart., Recherches, 149—152.

რში ჩართულს, მაგრამ ყოველს ამ ქებას გულ-გრილად მიიღებდა; ერთი მარცვალი ტრემლიც არ წამოსდენია თვალთაგან. ხოლო როცა ჭაბუკმა მომღერალმა ერთსელ დაიწყო ქება და დიდება რადიშის გაყვარებისა, მამინ კი კრინას აუთრთოლდა გული და წამოჭყარა თვალთაგან ტრემლი.

მომღერალი ამას მოსთქვამდა.

კრინის ჰერანგზედ ტემით შუბნი ზე იმსხვრევიან, სისხლში მოსკრილ ხმალთაგან ნაჰეწკალინი ტვივიან... .. უწყალოდ სრვენ ცხენს და კაცს შუბები და ისარნი, ცხენთაგან ძირს ტვივიან იუნაგნი, მხელარნი.

აჭა მოჭჭრის რადიშა, მტერს არღვევს ვით გემი ზღვას. მაგრამ უწყალო სელი გულში უმიზნებს ისარს, მოსვდა და, ვაი დემართო, ის ჭაბუკი გაყვარე გადმოკვარდა ცხენიდან....

მეთის ქალმა ვეღარ შეჭსძლო შემდეგის მოსმენა: სასე გაუფიქრდა და დაეცა გულშემოყრილი.

ჯარი შინ დაბრუნდა.

მეთის სასახლეში დიდი ნადიმი გაიმართა. შიკრიბნენ იუნაგნი, რომ მეთის სელიდამ მიიღონ ჯილდო გაყვარებისა. ხოლო მათ შორის არ იყო იგი, ვისთვისაც მეთის მოემზადებინა ყველასზედ უკეთესი და უწარჩინებულესი ჯილდო—სახელდობრ, ხმალი მოჭედული აღმასუბითა და ძვირფასის თვლებითა. იმ დროს იმისთანა ხლმებს ატარებდნენ მხოლოდ მეთენი და სპასალარნი.

ეს ჯილდო ამორჩეული იყო თვით მეთის ქალისაგან, რადგანაც წინადვე ჭტრმობდა ვინც იქნებოდა მისი ღიჩსი. კრინას დიდი ხანია უნდოდა გაემუღებინა თავისის მამისთვის სახელი მისი, ვინც ეგრე მხურვალედ უყვარდა; უნდოდა გაემუღებინა, რომ სიკვდილს ვიჩრეკ და იმის სიყვარულის დავიწყებას კი არაო. კრინს თერ-მკრთალოდ იყო როგორც ზამბახი და სხვილი ტრემლი ჩამოჭსდიოდა მარმარილოს ღოყებზედ.

— დეკრთო ჩემო! ნუ თუ რაში მიმიკლეს!... თხოვრათ და კანკალით ამბობდა ნელის ხმით კრინა.

— იგი აღარ არის, არა! ერთმანეთს ჩუმად ეუბნებოდნენ იუნაგნი, რაშიდამ დაბრუნებულნი.

— ის ცოცხალი არ უნდა იყოს, არა! ამბობდნენ მწუხარებით დიდებულნი, რომელთაც ენახათ გალომე-ბული ვაჟცოკაბა რადიშასი.

მეფე წამოდგა ფეხზედ ტახტიდამ და გადავიდა რა შეწუხებული თვალი ეკვლას, ბჰანა:

— სად არის იგი, რომელმაც დაიშასურა ეკვლას-ზედ უმადლესი ვიღღა? რომელიც ყოველთვის იქ იყო, საცა მოსისხარი ხმალი მტრისა უფრო ძლიერ მოქმედებდა! რომელიც სასკლავანის ვაჟცოცოებითა გაუსწორდა თვის წინა-პარათა! ვინ არის იგი? და რატომ არ არის იგი დღეს ჩვენთან?

— იგი რადიშა, შვილი მოხუცებულის გამზისა, უხასუსეს მოხუცთა დიდებულთა, რომელთაც შურდათ, რომ რადიშამ მათს შვილებსედა უფრო დიდი სახელი იმკვინა.

ამ სიტყვებსედა მოიღრუბლა მეფე თითქო ბნელი ღრუბელი მოადგა შუბლზედა. კრინამ მწუხარებით ხაჭკიდა თვალი, ვამოვიდა დაბნაზიდა და წავიდა ცაღვე, რომ თავისუფლად მიეტეს თავისის სეკდის ცრემ-ღსა.

ამ დღიდან მეფის ქალმა დაიწყო ჭკნობა, როგორც ნაზმა ყვავილმა. იგი თავის მოხალეებს აღარ ელაპარაკებოდა ისე მსიარულად როგორც აღარკვი; აღარ იცინოდა; აღარავისთვის არ შეუჩივლია თავისი გულის-ტვი-ჯელი და ნორჩ გულშივე ჭკლავდა კვნესას და ოსუ-რასა.

მოხუცი მეფეც ჭწუხდა, რაკი ხედავდა რომ მის მამის-ერთა ქალი დღე და დღე სახეთქსავით დნება რაღაც უცნაურის ვაჟშინისა გამო.

ერთხელ მეფე ფეხთ უჯდა კრინას, ავად-მყოფად მოლატეს. კრინას ეძინა: მისი სახე ზამბახზედ უფრო ფერ-მკრთალი იყო. ცრემლი ჩამოჰსცვივდა ბუბერს ძამას თვალთაგან, მძიმედ ამოიოხრა და აკოცა ფერ-მკრთალს შუბლზედ თავის საყვარელს ქალსა. კრინას გამოეღვიძა,

ისევე ბურწანში იყო, რომ დაინახა თავისი მტრადი მამა და წყნარის ხმით წამოჰსთქვა:

— შენ რადიშა არა ხარ!... გამეტყუე, გამეტყუე!... მე მატრო ის მიყვარს!... რადიშა მოუკლავთ!... მტრ მინდა მოკვდე!

მეფის ლაყაზედ ცრემლი თითქო გაყინდა; მეფე ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა; მსწრაფელ წამოდგა და წავიდა იმ განზრახვით, რომ თავის დღეში აღარ ინახულეს თავისი ქალი, რომელსაც შეუყვარებია შვილი მოხუცებულის გამზისა.

(შემდეგი იქნება.)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ისცილება ქ. ტფილისში ყველა წიგნის მალა-ზიებში:

- სალამური, ანუ ლექსთა კრება, ფასი . . . 10 კ.
- ანუშა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულთათვის, ფასი 20 კ.
- გოგია მამანაშვილი, ლექსები ავ. წყნეთისა, ფასი 5 კ.
- ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, ფასი 40 კ.

გამოვიდა და ისცილება «სოლი ვიტირო თუ ფული?»

კომედია ალალო თუთაევისა

ისცილება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექსანდრე ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ გუზმანა-შვილთან, ქარელს—დავით ქვრიანაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუმნის ბუჩქტში, სურამს—ზაქარია ანუწოვ-თან, ქუთაისს—იაკობ რაჭანოვთან და სკ. ცეკვაძეს-თან, ფოთში—ელისაბეგ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თავაძეთთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯ-ერისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზო-მაკეთს და თვითონ ავტორთან.

ხენჯარის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის 1877 წლის ანგარიში

ა-ს იანვრის 1877 წელს იყო:

	მან.	კ.		მან.	კ.
წილადი ფული	1,53	25	გასესხებული	1,375	—
სასარგებლოდ შემოტანილი	55	—	ნაღდი ფული	27	51
წმინდა მოგება	94	26			
ჯამი	1,402	51	ჯამი	1,402	51

1877 წელს

შემოსავალი:

	მან.	კ.
წილადი ფული	1,475	85
სარგებელი დაჭ. გასესხ. დროს ანუ ახადის	487	31
ვადის მიჯ. დროს	11	86
ჯარიმა	2,556	—
დაბრუნებული სესხები	758	—
სასარგებლოდ შემოტანილი	1,260	—
ნასესხი შემდგომ აღებული	19	7
სათადარიგო თანხა	5	42
სხვა და სხვა შემოსავალი		
ჯამი	6,573	51

გასავალი:

	მან.	კ.
წილადი ფული	5	40
მოგება 1876 წლებზედ მიცემული	—	12
გასესხებული	5,206	50
სარგ. დაბრ. ვადაზე წინათ გარდა სესხ.	10	60
სასარგებლოდ შემოტანილი	435	—
სარგ. სასარგებ შემოტანისათვის	4	52
ნასესხი შემდგომ აღებული	700	—
სარგებ. ნასესხებზე მიცემული	65	—
სამართველას ხარჯი	23	30
აღებ-მიცემობის გასავალი	19	7
ჯამი	6,169	51

1-ს იანვარს 1878 წელს არის:

	მან.	კ.		მან.	კ.
წილადი ფული	2,723	70	გასესხებული	4,025	50
სასარგებლოდ შემოტანილი	678	—	ნაღდი მოგება	431	51
ნასესხები შემდგომ აღებული	560	—			
სათადარიგო თანხა	19	7			
წმინდა მოგება	476	24			
ჯამი	4,457	1	ჯამი	4,457	1

საზოგადო ყრილობის გარდაწყვეტილებით ,, ,, იანვრით 1878 წელსა

	მან.	კ.
წესდ. 70 მუხ. სათადარიგო თანხა	47	84
წილად მოგება, რომელიც ირიცხებოდა 1-ს იანვარს 1877 წლისათვის	375	20
სარგებ. მისაცემი სასარგებ. შემოტან. და ნასესხების ფულებისა და გასაღიდელებად 1878 წლის მოგებისა	52	50

თავსმჯდომარე რჩევისა: ალექსანდრე ჯაყელი.

რჩევის წევრნი: {
 ალექსი შარაშიძე.
 ონისიმე ძოწენიძე.
 გიორგი ყიფიანი.

გამგებლობის წევრნი:

{
 თ. კოსტანტინე ყიფიანი.
 მინა გიორგობიანი.
 დავით ნანუკოვი.